

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N 7

27.02.2023 წ.

ქ.გორი

მიმდინარე წლის 27 თებერვალს გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეშვიდე სხდომა გაიმართა.

შეხვედრის დაწყების დრო 16:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის მერი - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**.

ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის წარმომადგენელი: **ზვიად ანესაშვილი**

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. დარეჯან მურადაშვილი
2. ნინო გიორგაძე
3. ზაურ საგანელიძე
4. ნანა ტერმაკოზაშვილი
5. იაკობ მაღალაშვილი
6. ვალერი სუხიშვილი
7. მალხაზ გოჩაშვილი
8. მარი მღებრიშვილი
9. ბექა ტატალაშვილი
10. თამარ კაპანაძე

დღის წესრიგი:

- I. მრჩეველთა საბჭოს მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი რეკომენდაციებზე მიღებული უკუკავშირის გაცნობა/განხილვა;
- II. ქუჩების სახელდების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; გასვილითი შეხვედრების დაგეგმვა მოსახელობასთან;
- III. მოსახელობის მხრიდან შემოსული ინფრასტრუქტურული და საგზაო უსაფრთხოების პრობლემების მომხილვა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად;
- IV. ახალგაზრდული ინიციატივების განხილვა;
- V. თანადაფინანსების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საკითხი;
- VI. გორის ახალგაზრდული ცენტრის მუშაობის უფექტურობის გაზრდის საკითხი;

მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, დაკო მურადაშვილმა. მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს, გააცნო დღის წესრიგი და წარადგინა მოწვეული სტუმარი - გორის

მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი სამსახურის უფროსის მოადგილე -ზვიად ანესაშვილი.

I. მრჩეველთა საბჭოს მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი რეკომენდაციებზე მიღებული უკუკავშირის გაცნობა/განხილვა;

დარეჯან მურადაშვილმა ისაუბრა მერისთვის წინა შეხვედრების დროს წარდგენილი რეკომენდაციების შესრულება/გათვალისწინების შესახებ. მოისმინეს მერის უკუკავშირი თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

წინა რეკომენდაციებიდან ერთ ერთი საკითხი იყო გორის კულტურისა და დასვენების პარკის „ახალბაღის „ რეაბილიტაციის მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, საჯარო განხილვის მოწყობა. ამ ეტაპისთვის საკითხი კვლავ განხილვის ეტაპზე რჩება.

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე საბჭოს ინიციატივითა და მერიასთან თანამშრომლობით მოხდეს სამუშაო შეხვედრა პროექტის შემსრულებელთან და მოსახლეობისთვის ანგარიშის წარდგენა, როგორ მიმდინარეობს პროექტი და როდის დასრულდება.

დაკო მურადაშვილი - მოსახლეობის ერთ ერთი ინიციატივა იყო გორში, სადგურის დასახლებაში გარე განათების მოწყობა,რაზეც ბატონმა **მერმა** აღნიშნა,რომ სადგურის დასახლებიდან სოფელ ხიდისთავამდე გარე განათების მოწყობისათვის საჭირო პროცესი დაწყებულია.

II. ქუჩების სახელებების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; გასვილითი შეხვედრების დაგეგმვა მოსახლეობასთან;

წინა სხდომებზე საბჭომ იმსჯელა ქალაქში ისეთი ქუჩების სახელებების ცვლილების შესახებ, როგორცაა სკვერის ქუჩა, ქარხნის ქუჩა, გამირების ქუჩა, შრომის ქუჩა და ჩოდრიშვილის ქუჩა. სხდომას ესწრებოდა ზვიად ანესაშვილი,რომელმაც მოამზადა აღნიშნული ქუჩების მოძიება რუკაზე და საბჭოსთვის გაზიარება.

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

გამომდინარე იქედან, რამ საკითხი წარმოადგენს მოსახლეობის ინტერესებს, საჭიროა ამ ქუჩის მაცხოვრებლებთან კონსულტაციები, რასაც საბჭო უახლოეს პერიოდში გამართავს და მათი მხრიდან შერჩეული დასახელებების ალტერნატივებს განსახილველად შესთავაზებს მერიას და საკრებულოს

III. მოსახლეობის მხრიდან შემოსული ინფრასტრუქტურული და საგზაო უსაფრთხოების პრობლემების მომხილვა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად;

განიხილეს მოსახლეობის მხრიდან შემოსული ინფრასტრუქტურული და საგზაო უსაფრთხოების საკითხები კერძოდ:

- მოსაწესრიგებელი შექნიშნები წმინდა წყლის დასახლებაში.

მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მითითებულ ქუჩაზე საკითხის მოგვარება დაწყებულია და მიმდინარეობს შესასრულებელი სამუშაოები.

- შექნიშნის დამატება სუხიშვილის ქუჩაზე

მერიის მხრიდან მოხდება აღნიშნული საკითხის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება.

- ჩოჩიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია

მერმა აღნიშნა, რომ მცირე ნაწილის რეაბილიტაციის შესახებ საკითხი გათვალისწინებული იქნება.

- სამეფოს ქუჩაზე, ახლად რეაბილიტირებულ ხიდზე აბრის განთავსება ძველი ტექსტით, რაც უზრუნველყოფს ხიდის ძველი ისტორიის გაცოცხლებას.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი - ხიდზე დაიდგმება ბანერი/აბრა ძველი იერსახით, მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია.

- კალათბურთის მოედნებზე არსებული პრობლემები;

მერიის მხრიდან მიმდინარეობს მოკვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- ქუჩების აბრების და ნუმერაციის საკითხი;

აღნიშნული საკითხი გადაცემულია ინფრასტრუქტურის განყოფილებას და მიმდინარეობს ამაზე მუშაობა

IV. ახალგაზრდული ინიციატივების განხილვა;

იაკობ მათალაშვილი - სოფლის ახალგაზრდებისთვის, სასკოლო განათლების შემდგომ მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების და ურთიერთობების გაძლიერება, რომელიც სოფლის ცხოვრებას მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ გორის მუნიციპალიტეტი და მისი ახალგაზრდული სამსახური ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებებით გამოირჩევა, აუცილებელია არსებული რესურსების მობილიზება დადებითი შედეგების მაქსიმალიზაციისთვის.

მუნიციპალიტეტის დანერგილი პრაქტიკაა მის ბალანსზე არსებული უფუნქციო შენობების გარემონტება და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვა, რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს საკუთარი რესურსებით დაგეგმონ საგანმანათლებლო ან ახალგაზრდული აქტივობები, რომელიც საშუალებას აძლევთ მათ სახლთან ახლოს განივითარონ ის უნარჩვევები და ცოდნა, რომელიც ფორმალურ განათლებასთან ერთად მნიშვნელოვან უპირატესობას მისცემთ პროფესიის არჩევასა და კარიერულ წინსვლაში.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საზღვრის პირა სოფლებში არსებული პრობლემური საკითხების მოგვარება. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორდში არსებული ახალგაზრდული სივრცის

საკითხი, რომელიც სოფლის ახალგაზრდობის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. არსებული ახალგაზრდული ცენტრი საჭიროებს მართვას და მხარდაჭერას.

გარდა ამისა, 2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულება, N553 “საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის” მიხედვით, “გორის მუნიციპალიტეტის მერიას” ვალდებულება აქვს აღებული, 5 ახალგაზრდული ცენტრის შექმნისა და ხელშეწყობის მიმართულებით.

V. თანდაფინანსების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საკითხი;

დაკო მურადაშვილი - გამომდიანრე იქედან, რომ გორის მუნიციპალიტეტი ერთ ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტია საქართველოს მასშტაბით, თავისი არსებული თანდაფინანსების პროგრამები, სამწუხაროდ მათზე საჯაროდ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. დაინტერესებულ პირებს უწევთ სამსახურის უფროესბთ პირადი კომუნიკაცია იმის დასადგენათ თუ როგორ მიირონ აღნისნულ პროგრამებში მონაწილეობა, არის ტუ არა თანხა დარცენილი და ას.შ.

თანდაფინანსების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, იმისათვის, რომ მერიის პროგრამები იყოს ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი, სასურველია მერიის საიტზე დაიდოს სრულყოფილი და მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია, შესაძლოა მომზადდეს ინფოგრაფიკებიც, და შესაბამისი ნიუსები ან ვიდეო რგოლები.

VI. გორის ახალგაზრდული ცენტრის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის საკითხი;

დაკო მურადაშვილი - უამრავ ახალგაზრდულ ორგანიზაციას არა აქვს შეკრების სივრცე მათი საქმიანობების განსახორციელებლად, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების განვითარების ხელშესაწყობად. ახალგაზრდებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გამოკვეთა იმის საჭიროება, რომ გორის ბალანსზე არსებული ახალგაზრდული ცენტრი იყოს ხელმისაწვდომი ისეც დროს, როცა ახალგაზრდებს აქვთ შეკრების დრო. სარამოს საათებში, ან შაბათ-კვირას.

ეს პრობლემა შესაძლოა მოგავრდეს იმით, რომ ახალგაზრდული ცენტრის ტანამშრომლების სამშაო გრაფიკი გახადოს მერიამ მოქნილი ან მორიგეობითი, შექმნას შესაბამისი კალენდარი და მიეცეთ საშუალება დაჯავშნონ სივრცე სასურველ დროს.

დარეჯან მურადაშვილი - შეაჯამა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მეშვიდე სხდომა. მადლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებსა და მომხსენებლებს აქტიური ჩართულობისათვის.

საბჭომ მუშაობა დაასრულა 18:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

დარეჯან მურადაშვილი



დანართი 1. რეკომენდაციები

"გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 მაისის №20.202215114 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ასევე მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება შემდეგი რეკომენდაციების შესახებ:

- I. მრჩეველთა საბჭო რეკომენდაციას უწევს მერიას აქტიურად იმუშაოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით და ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ახალგაზრდული ცენტრების შექმნას და ხელშეწყობას.
- II. რეკომენდაცია მიეცეს მერიას გაზარდოს გორის ახალგაზრდულ ცენტრზე (ქ.გორი სუხიშვილის ქუჩა) ხელმისაწვდომობა, ისეთი მიდგომითა და გრაფიკის შემუშავებით, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ისარგებლონ სადამოს საათებში ან შაბათ კვირას(რისი საჭიროებაც გამოიკვეთა ახალგაზრდებთან ჩატარებული კვლევის ფარგლებში)
- III. გორის მუნიციპალიტეტში არსებული თანადაფინანსების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მერს მიეწოდოს რეკომენდაცია, მერიის სოფიციალურ საიტზე დაიდოს სრულყოფილი და მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია თანადაფინანსების პროგრამების შესახებ. მათი გაცემის წესი, პირობები, ვადები, მერჩვეის კრიტერიუმები, სააპლიკაციო ფორმა
- IV. ახალბადის მიმდინარე სამუშაოების შესახებ მოხდეს საჯარო განხილვა ან გაკეთდეს მერიის მხრიდან საინფორმაციო საჯარო შეხვედრა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
- V. საბჭოს ეფექტურად მუშაობის უზრუნველსაყოფად, 2024 წლის საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით მოხდეს საბჭოს წევრების დროული ინფორმირებულობა და ჩართულობის უზრუნველყოფა.